ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წევრის მურად ჩხაიძის

2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

2016 წლის განმავლობაში ჩემს საქმიანობას წარვმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვირთმართველობის შესახებ", ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

მოგახსენებთ, რომ 2016 წელს ჩატარდა საკრებულოს 22 სხდომა, განხილული იქნა 101 საკითხი. მიღებულა 28 დადგენილება და 73 განკარგულება. აქედან გამოვყოფდი პროგრამული ბიუჯეტის მიღებას 2017 წლისთვის.

ასევე მქონდა მოსახლეობასთან გრაფიკით გათვალისწინებული 13 შეხვედრა და 12 მიღება, სადაც განვიხილეთ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხები. ბევრ მათგანს გაეწია შუამდგომლობა სათანადო ორგანოებთან, კერძოდ:

სოფ. სილაურში ბადრი ხელაძის საკარმიდამო ნაკვეთში მოხდა მდინარისგან წაღებული ეზოს ნაწილის სამაგრი ჯებირით აღდგენა.

მონაწილეობა მაქვს მიღებული ფრაქცია "ქართული ოცნების" 12 სხდომაში. ერთ-ერთ სხდომაზე ჩვენი ინიციატივით მოხდა 60 000 ლარის ოდენობის თანხის გამოყოფა სკოლების კეთილმოწყობის მიზნით,რომლის ოდენობაც 2017 წლისთვის გაიზრდება 100 000 ლარამდე.

მივიღე მონაწილეობა აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის 24 სხდომაში. და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 21 სხდომაში,სადაც განხილული იქნა 26 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში სხდომებზე განხილულ სხვადასხვა საკითხებთან ერთად კომისიამ წარმოადგინა 8 დასკვნა, მათ შორის: 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე 7-ჯერ; 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის აღმასრულებელ ორგანოში დაბრუნების თაობაზე;

ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში და ყოველკვარტალურად, კომისია ისმენდა და აფასებდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო ორგანოსა და მუნიციპალური შესყიდვების განყოფილების ანგარიშებსა და ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შედეგებს.

მუნიციპალური შესყიდვების განყოფილების ანგარიშებსა და ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შედეგებს.

კომისიას, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობისას, მიღებული აქვს რამდენიმე რეკომენდაცია და შენიშვნა,რომელიც შემდგომ მიღებული იქნა საკრებულოს მიერ.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ ინდივიდუალურ რეჟიმში იქნა განხილული და შეფასებული რამდენიმე მხარჯავი დაწესებულების მუშაობის შედეგები. მათ შორის:

ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ. პ.ს. „ტექნოსერვისი",ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საღმზრდელო ცენტრი".

საკრებულოს წევრი მ. ჩხაიძე

23. 01 2017 წელი.